

## მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი

### ხელშეკრულება

განხილულია აკადემიური საბჭოს მიერ ოქმი N5, 08/04/19 წ.  
დამტკიცებულია რექტორის 10/04/2019 წ. N ბ/1-01/11 ბრძანებით.

ქ. თბილისი

00.00.19

ერთი მხრივ, მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“, წარმოდგენილი მისი რექტორის, ნათია გოცამის სახით (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) და მეორე მხრივ, -----(შემდგომში „სტუდენტი“) თანხმდებიან შემდეგზე:

სტუდენტი ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხა სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული კომუნიკაციისა და სამართლის სკოლის საზოგადოებრივი ურთიერთობების საბაკალავრო საფეხურზე.

### მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სასწავლო უნივერსიტეტის იღებს ვალდებულებას გაუწიოს სტუდენტს საგანმანათლებლო მომსახურება პროგრამის ფარგლებში. წინამდებარე ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1.2 სტუდენტი კისრულობს ვალდებულებას, გაწეული მომსახურების სანაცვლოდ გადაიხადოს, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასური.

1.3 სასწავლო უნივერსიტეტის დებულება, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის დებულება, ეთიკის კოდექსი და სასწავლო უნივერსიტეტის სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. სტუდენტი ხელმოწერით, აცხადებს რომ გაეცნო დოკუმენტის შინაარსს და ეთანხმება მათ.

### მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

#### 2.1. სტუდენტი უფლებამოსილია:

- ა) მიიღოს უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი უმაღლესი განათლება;
- ბ) მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;
- გ) ისარგებლოს სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა რესურსებით;
- დ) განახორციელოს სასწავლო უნივერსიტეტის ნორმებით, წინამდებარე ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებები.

## 2.2 სტუდენტი ვალდებულია:

- ა) დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით მოთხოვნილი ნორმები;
- ბ) სტუდენტი ვალდებულია, რეგულარულად შეამოწმოს E-LMS-ზე განთავსებული ინფორმაცია, მასალები, დავალებები, ნიშნების ფურცელი და ა.შ; E-LMS არის სასწავლო კურსის პედაგოგის, სტუდენტისა და ადმინისტრაციის ურთიერთდამაკავშირებელი ელექტრონული სისტემა;
- ბ) გაუფრთხილდეს და დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონება;
- გ) სრულად და დროულად გადაიხადოს სწავლის საფასური;
- დ) შეასრულოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის დებულებებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები.

## 2.3 უნივერსიტეტი უფლებამოსილია:

- ა) მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
- ბ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება;

## 2.4 უნივერსიტეტი ვალდებულია:

- ა) მისცეს სტუდენტს შესაძლებლობა, დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და სხვა საშუალებით;
- ბ) დაიცვას სტუდენტის პირადი საიდუმლოების კონფიდენციალურობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## მუხლი 3. სწავლის საფასურის ოდენობა და გადახდის წესი

3.1 ერთი ECTC კრედიტის საფასური განისაზღვრება -- ლარის ოდენობით.

სტუდენტი უფლებამოსილია ერთი აკადემიური სემესტრის განმავლობაში აითვისოს არაუმეტეს 35 ECTC კრედიტისა. სტუდენტი ვალდებულია სემესტრულად აითვისოს არანაკლებ 30 ECTC კრედიტისა, გარდა იმ შემთხვევაში, როცა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სხვა რამ არის გათვალისწინებული ან არსებობს ნაკლები კრედიტის ათვისების მნიშვნელოვანი საფუძველი.

3.2 სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდა ხორციელდება სემესტრული გადახადით ერთიანად, რეგისტრაციის კვირის პერიოდში.

3.3 სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში;

3.4 ადმინისტრაციული რეგისტრაციით დადგენილი ვადების დარღვევა და სწავლის საფასურის გადაუხდელობა სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია.

3.5 სწავლის საფასურის ამ მუხლისაგან განსხვავებული გრაფიკის თაობაზე შეიძლება გაფორმდეს დამატებითი შეთანხმება და იგი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.6 თუ სტუდენტმა პროგრამის დასრულებისთვის საჭირო კრედიტების რაოდენობა ვერ მოაგროვა პროგრამის განხორციელების ჩვეულებრივ ვადაში, დამატებითი სემესტრ(ებ)ის განმავლობაში სწავლის საფასური განისაზღვრება გადაიხდის იმ ტარიფების შესაბამისად, რომელსაც ადგენს სასწავლო უნივერსიტეტი ცალმხრივად კონკრეტული პერიოდისთვის.

#### მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაჭრის წესი

მხარეთა შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა გადაწყდება მოლაპარაკების გზით, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე, კანონმდებლობით განსაზღვრული მაქსიმალური ვადების დაცვით.

5.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნას:

- ა) მხარეთა ორხმრივი შეთანხმებით.
- ბ) სტუდენტის ინიციატივით ნებისმიერ დროს;
- გ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტით;
- დ) სწავლი პერიოდში სტუდენტის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში.

#### მუხლი 6. მხარეთა განცხადებები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, სტუდენტი გამოხატავს თანხმობას სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნებისთვის, უნივერსიტეტის მიერ მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 სტუდენტი ადასტურებს იმას, რომ ინფორმირებულია უნივერსიტეტის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ვიდეო-თვალთვალით წარმოების შესახებ უსაფრთხოების მიზნებისათვის.

### მუხლი 7. დასკვნითი დებულებები.

7.1 ხელშეკრულებაში შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილებები ან/და დამატებები წერილობითი ფორმით.

7.2 ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

### მუხლი 8. მხარეთა რეკვიზიტები

#### უნივერსიტეტი

მართვისა და კომუნიკაციის  
საერთაშორისო სასწავლო  
უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“

ს.კ

საბანკო რეკვიზიტები

მისამართი

რექტორი

#### სტუდენტი

სახელი და გვარი

პირადი ნომერი

პირადონის/პასპორტის ნომერი

მისამართი

ტელეფონი

ელ-ფოსტა

ხელმოწერა

ხელმოწერა